გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვით რედაქციას, ახალ-ზემოთის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჩიდღეელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.


1877—1887 წელიწადი სოპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1887 წელიწადი

**გაზეთი „ივერია“ პირველის სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.**

ტფილისი, 9 სექტემბერი

ამ ჟამად გაცხარებული ბაასია საზოგადოებასა და მწერლობაში იმის თაობაზე, თუ რა გზას უნდა დავადგეთ, რომ მოზარდს თაობას სწავლა-განათლება არ მოვაკლოთ. მშობელნი და ნათესავნი, რომლებსაც შეგნებული აქვთ, თუ რამდენად საჭიროა სწავლა-ცოდნა, სცდილობენ როგორმე დასძლიონ იგი დაბრკოლებანი, რომელნიც გზაზედ ეღობებიან. მართლადაც, სამწუხარო მდგომარეობაა, როცა გესმის, რომ უსწავლა-ცოდნოდ ცხოვრება გაჭირვებულია და თითქმის შეუძლებელია და თან იმასაც ჰხედავ, თუ რამდენად გზა-შეკრული ხარ, თუ სიღარიბისა და ხელმოკლეობისა და თუ სხვა მიზეზების გამო. მაინცა და მაინც საზოგადო საქმეთა ხელ-მძღვანელნი და თვით საზოგადოებაც მოვალენი არიან ყოველი ღონისძიება იხმარონ, რათა მოზარდს თაობას მიეცეს საშუალება სწავლა-ცოდნის შეძენისა.

ყოველივე ესე მეტად საგრძნობელია ჩვენის საზოგადოებისათვის, რომელიც არც მდიდარია და განათლებითაც შორს არ არის წასული. ჩვენ უკვე გვითქვამს, რომ ჩვენის ცხოვრების მოწყობინება, ჩვენის ეკონომიურის ძალ-ღონის შემატება შესაძლოა მხოლოდ სწავლა-განათლების შემწეობით; ამიტომაც თუ სწავლა-ცოდნას არ მივხედეთ, ჩვენი წარმატებაც, ჩვენი ეკონომიური ძალ-ღონეც კლებაში შევა და დღეის იქით შეუძლებლობა კიდევ უფრო დამაბრკოლებელი იქმნება სწავლა-განათლებისათვის, თუ ჩვენ დროთა-ვითარებას არ შევუფერეთ ყმაწვილ-კაცობის აღზრდა და სწავლა-განათლების საქმე.

საერო განათლების სამინისტრომ საშუალო განათლების წარმატებისათვის საჭიროდ სცნო გამოეცა ისეთი ცირკულიარი, რომლის ძალითაც გიმნაზიებში უნდა მიიღონ მხოლოდ შვილები იმ მშობლებისა, რომელთაც საშუალება აქვთ საჭირო ზედამხედველობა იქონიონ მოსწავლე თაობაზე და აგრეთვე ისეთს მდგომარეობაში ჩააყენონ, რომ არავითარი დაბრკოლება არ შეემთხვიოს სწავლის დროს. ღარიბ მშობელთა ყმაწვილებს მაშინ მიიღებენ, თუ ეს უკანასკნელნი გიმნაზიის მთავრობისათვის შესამჩნევ ნიჭიერებას გამოიჩენენ. აგრეთვე იმავე სამინისტროს განკარგულებით გაუქმებულ იქმნა მოსამზადებელი კლასები გიმნაზიებისა და პროგიმნაზიებისა.

რასაკვირველია, ჩვენს საზოგადოებას არ შეუძლიან დააკმაყოფილოს ყოველი მოთხოვნილება საერო განათლების სამინისტროსი, რადგანაც ჩვენი საზოგადოება მომეტებულ ნაწილად შეუძლებელი და ხელ-მოკლეა და ჩვენი მშობლები ვერ იქონიებენ მოზარდს თაობაზე იმ ზედამხედველობას, რომელსაც თხოულობს ცირკულიარი. აგრეთვე იგივე სიღარიბე, ხელ-მოკლეობა, ხელს შეგვიშლის შინაობაში, ოჯახში მოვამზადოთ ყმაწვილები იმდენად, რომ ისინი გიმნაზიებში მივაბაროთ, რადგანაც შინაობაში, ოჯახში ყმაწვილის მომზადება და სწავლა, ერთი-ხუთად უფრო ძვირად ჯდება, ვიდრე სასწავლებელში.

აქედგან ცხადია, რომ ზემოდ მოხსენებულ გარემოებათა მომეტებული მნიშვნელობა აქვს ჩვენის შეუძლებლის ერისათვის.

მინისტრის ცირკულიარს მხოლოდ ის აზრი აქვს, რომ დროთა ვითარებას შევუფეროთ სწავლა-განათლების საქმე. ჩვენ, რასაკვირველია, ამ დარიგების დაგვარად უნდა მოვიქცეთ.

ეხლა ვიკითხოთ, რა ღონე ვიღონოთ, რომ სამინისტროს ცირკულიარის აზრი შევასრულოთ და სწავლა-განათლების საქმე ხელიდგან არ გავუშვათ. უმთავრესი ღონე ისევ ჩვენშივე უნდა ვეძიოთ, ჩვენივე მეცადინეობა უნდა გავაორკეცოთ და მით ცირკულიარის აზრისამებრ დროთა ვითარებას შევუფეროთ ჩვენი მდგომარეობა...

ჩვენ უნდა მივმართოთ ჩვენს სათავად-აზნაურო სკოლებს, რომელნიც სწორედ მოწსრებაა ჩვენს მდგომარეობაში მყოფთათვის. როგორც იყო, ჩვენისავე მცირე ძალ-ღონით დავაარსეთ ორი სათავად-აზნაურო სკოლა და ისევ ეს სკოლები უნდა შევუფეროთ ეხლანდელს გარემოებას, თუ გვინდა, რომ დღეის იქითაც სასარგებლონი იყვნენ ჩვენთვის. თუ ეს სკოლები იმავე მდგომარეობაში დავტოვეთ, რა მდგომარეობაშიაც იყვნენ აქამდის, ისინი თითქმის სრულიად უნაყოფონი იქმნებიან, რადგანაც ყმაწვილების უმეტესობა მაინც არ ეღირსება გიმნაზიებში შესვლას თავიანთ მშობელთა სიღარიბის გამო; თანაც ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ სათავად-აზნაურო სკოლებს ჯერ-ჯერობით არავითარი უფლება არა აქვს.

მაშასადამე, ამ სკოლების ხასიათი შეცვლილი უნდა იქმნას იმ გვარად, რომ არც გიმნაზიების და მაღალ სასწავლებლების კარები დავუხშოთ ჩვენს შვილებს და არც ჩვენის მდგომარეობის შესაფერი სწავლა-ცოდნა მოვაკლოთ მათ. მწერლობაში უკვე გამოითქვა რამდენიმე აზრი იმის თაობაზედ, თუ რა გვარად შევცვალოთ ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლები. ბ-ნმა წყალტუბელმა ჩვენს გაზეთში განმარტა ის აზრი, რომ საჭიროა ტფილისსა და ქუთაისში ვიქონიოთ მოსამზადებელი კლასები, რომელთა დასრულების შემდეგ ყმაწვილებს შეეძლებათ გიმნაზიებსა და სხვა საშუალო სასწავლებლებში გადავიდნენ. აგრეთვე, ბ-ნის წყალტუბელის აზრით, საჭიროა, რომ ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობამ ერთად დაარსოს ერთი გიმნაზია საშუალო ადგილას, მაგალითად, დაბა სურამში. მეორე აზრი წარმოსთქვა გაზეთ „Новое Обозрѣніе“-მ. ამ გაზეთის შეხედულობით, საჭიროა სათავად-აზნაურო შკოლები გარდავქმნათ ან სრულს გიმნაზიებად, თუ მთავრობა მიანიჭებს მათ სამინისტროს გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების უფლებათა,—ან და პროფესიონალურ სკოლებად, რომლებსაც სრული, დამთავრებული კურსი უნდა ჰქონდეთ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ორი აზრი ფრიად საყურადღებოა, მაგრამ თვითეული მათგანი იმდენად სრული არ არის, რომ ჩვენი სურვილი განათლებისა დააკმაყოფილოს და დროთა ვითარებას შეუფეროს, და ამიტომაც ორიოდე შენიშვნას ჩვენც ვუძღვნით იმავე საგანს. როგორც უკვე ვსთქვით, სამინისტროს ცირკულიარით გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში გააუქმეს მოსამზადებელი კლასები. მაშასადამე, ყმაწვილების მომზადება სასწავლებლისათვის ისევე ჩვენ უნდა ვიკისროთ და რამდენად საძნელო და შეუძლებელია ჩვენთვის საკუთარის ღონით, შინაობაში, ოჯახში, ან და კერძო სასწავლებელში ყმაწვილის აღზრდა, ეს კარგად ვიცით. აქედგან ცხადია, რომ ჩვენ ისეთი რამ სახსარი უნდა ვიპოვოთ, რომ ყმაწვილების მომზადება გვეხერხებოდეს. აი ამიტომაც აუცილებლად საჭირონი არიან მოსამზადებელი კლასები ტფილისსა და ქუთაისში, რათა მოზარდ თაობამ იმდენად რიგიანი პირველ-დაწყებითი სწავლა-ცოდნა შეიძინოს, რომ სხვა სასწავლებლებში გადასვლა შეეძლოს; მაგრამ რადგანაც ზოგ სასწავლებლებში შესვლა უმრავლესობისათვის მოუხერხებელი იქმნება, ამიტომაც საჭიროა ვიქონიოთ, პროგიმნაზიის კლასების მაგიერ, პროფესიონალური სკოლები, რომლებშიაც გადავა მოსწავლეთა უმეტესობა მოსამზადებელ კლასებიდგან. ასე და ამ გვარად მოსამზადებელი კლასები გზას მისცემენ ზოგს გიმნაზიებში და ზოგს პროფესიონალურ სასწავლებლებში. რამდენისამე პროფესიონალურ სკოლებისა და მოსამზადებელის კლასების შენახვა ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობას იმავე ფასად, თუ უფრო იაფად არა, დაუჯდება, როგორც უჯდება სათავად-აზნაურო სკოლების შენახვა. თუ ასე მოვიქეცით, მაშინ ზოგს მივსცემთ საშუალებას

## ფელეტონი

### მოგზაურობა სამეგრელოში

რატომ გვიჭირდა სამეგრელოზე ლაპარაკი და რატომ ვერ აღვასრულეთ აღნათქვამი?—ამის მიზეზები.—საყურადღებო საგნები, რომელთ შესახებ გაზეთს თავისი აზრი უნდა გამოეთქვა.—ფოთში მგზავრად.—ხუმარაძის სასტუმრო და ხუმარაძეზე ხუმრობა.—ოქროს მატყლოვანი ვერძის ნაცვლად ოქროს მპატიჟებელი სიმინდი და მისი გაჭრობა.—პლავსკის სახლი, კურკოვსკის ბალი და X—ის ქალი.—ფოთის კანდელიდამ დასანახავი არე-მარე.—პალეასტომის ტბა და მისი გაჩენა.—გუბერნატორი ქ. ფოთში.—ფოთელების სტუმართ-მოყვარეობა.—გუბერნატორის სადილი ფოთში და სიტყვები ფოთის საჭიროებაზე.

ბ-ნო რედაქტორო, ეგებ გიკვირთ, რომ ჩემი აღნათქვამი აქამომდე ვერ აღვასრულე და ვერაფერი ამბავი, ცნობა და წერილები ვერ გამოვუგზავნე თქვენს რედაქციას იმ უბნიდამ, რომელსაც სამეგრელოს უწოდებენ; ეგებ ზარმაცს მეძახით. უფლება გაქვთ ასეთი სახელი მიწოდოთ, და აი რატომ. განა ერთს მოზრდილს სამთავროში სამის წლის განმავალობაში ისეთი რამ არა მომხდარა-რა, რომ გაზეთის საშუალებით გამოსაქვეყნებელი ყოფილიყოს და მკითხველისათვის საინტერესო, გასართობი, ჩამაფიქრებელი, გონების სავარჯიშო, ან ყურის მისაპყრობი? დედა-მიწის ზურგზედ არსად არ მოიპოვება ისეთი საზოგადოება, რომ ან ისე გაანგელოზებულიყოს, რომ მასზე ამის მეტი არა ითქმოდეს-რა: ეს საზოგადოება სწორედ რომ ანგელოზთა კრებას წარმოადგენსო. ან ისე გაეშმაკებულიყოს, რომ ამის თქმა-ღა შეიძლებოდეს: ეს—ეშმაკთა გუნდია და, მაშასადამე, მისი ყოფა-ცხოვრების აღწერა ჩრაკისათვის საჭირო არ არისო. ამას ბძანებთ უთუოდ ჩემს სასაყვედუროდ, მოწყალეო ხელმწიფეო, და მეც კვერს დაგიკრავთ და თავს ვიდებ თქვენს საყვედურს. მაგრამ გარწმუნებთ პატიოსანის სიტყვით, რომ ჩემის სიჩუმის მიზეზი არც საზოგადოების ანგელოზობაა, არც მისი ეშმაკობა, არც სიზარმაცე, არამედ ერთი რამ, რომლის თქმა ახლა არ შემიძლიან და სხვა დროისათვის გადავდე.

მერწმუნეთ, რომ თვით მე მაწუხებს დღევანდელი ჩემის სულის მდგომარეობა: ათას ნაირნი მოვლენანი ჩვენის უბნის მკვიდრთა ცხოვრებისა ერთი მეორეზე იხლართებიან ჩემს ტვინში, მინდა ქაღალდზედ გადმოვიტანო და გაზეთის საკბილო გავხადო და, როცა ამას მოვახერხებ, ჩემი გონება ისეთს შვებას იგრძნობს, როგორც ძმობისაგან განთავისუფლებული დედაკაცი; ჩემს სულს ისეთი შვებათი მიეცემა, როგორც მიჯნურთ, როცა ერთმანერთს გამოუცხადებენ ხოლმე ხვაშიადსა.

ამ ხელად აღვნიშნავ შემდეგს საგნებს, რომელნიც, ჩემის აზრით, ღირსნი არიან გაზეთის ფურცლებისა და მკითხველის ყურადღებისაც.

ა) იმერეთის ეპარქიის ორად გაყოფა და გურია-სამეგრელოს საარქიელო კათედრის ფოთში დაარსება: როგორ მიეგება გურიის, სამეგრელოს და ლეჩხუმის სამღვდელოება ხსენებულს ქალაქში კათედრის დაარსებას და მარტვილის გაუქმებას. ყოველად სამღვდელო გრიგოლის სიტყვა და საქმე ამ საგნის შესახებ.

ბ) აქაურ საამნაურო სასწავლებლის სახლის ასაშენებლად ხელის მოწერა თავად-აზნაურთა და ფულის მოკრების შეფერხების მიზეზი.

გ) «სამარგალო საჩიარის» ანბანის გამოგონება და ევრისის ფარნაოზი—აშორდია. მისი წინა-მორბედ-ული შრომა და წამება.

დ) სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წარმომადგენლის, ნდობილის პატივცემულ ბახვა ფალავას გარდაცვალება, ამ თანამდებობაზედ ორი მებრძოლი კანდიდატი: დადიანი და მხეიძე.

ე) ქუთაისის გუბერნატორის მოგზაურობა სამეგრელოში. სენაკის თავად-აზნაურთა თხოვნა გუბერნატორისადმი, რომ მეგრულად სწავლება ნუ იქმნება, თორემ მეტად შევსწუხდებითო.

ვ) სიმინდის ვაჭართაგან ამხანაგობის შედგენა და იმისი მოკლე დროის სიცოცხლე.

ზ) ფოთის ქალაქის თვით-მართველობა და გუბერნატორის მიწვევა.

ზემოხსენებული საგნებია დღეს ჩვენს უბანში სტუმრის და მასპინძლის სალაპარაკო. ამათზე უბნობს აქ ერი, ბერი, ახალგაზდა და მოხუცი, ქალი და კაცი რკინის-გზის სადგურებზედ, ვაგონებსა, სასტუმროებსა, ქალაქებში და ყრილობებზე, მაგრამ გაზეთს-კი ჯერ თავისი აზრი არ გამოუთქვამს. ახლაც სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ცოტა ხანს ბევრს რასმე გვერდი უნდა ავუარო მე, ქვემორე ხელისა ამის მომწერმა, და მხოლოდ გაკვრით უნდა აღვნიშნო თვალში საჩხირო საგნები.

უმაღლესი სწავლა-განათლება შეიძინონ, და სხვებს-კი საშუალება მიეცემათ, რომელიმე სპეციალური საგანი შეისწავლონ, მაგალითად, მიწათ-მოქმედება, მევენახობა და სხვ.; და ეს ხომ ჩვენს მდგომარეობაში მყოფთათვის სწორედ მისწრებაა. ერთის სიტყვით, ჩვენი აზრი ის არის, რომ მოსამზადებელი კლასები სათავად-აზნაურო სკოლებისა უსათუოდ უნდა დარჩნენ, რათა ყმაწვილებს ამზადებდნენ ყოველ გვარ საშუალო სასწავლებელთათვის; ესე იგი შემძლეთ უნდა შეეძლოთ, თუ თან სურვილი აქვთ, გიმნაზიებში გადავიდნენ და ისინი-კი, ვინც ამის შემძლე არ იქმნებიან, უნდა გადადიოდნენ პროფესიონალურ სკოლებში, რომლებიც უნდა დავაარსოთ პროგიმნაზიის კლასების მაგიერ. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას შეუძლიან რამდენიმე სასწავლებელი დაარსოს და თან მიჰმართოს ბ-ნის ი. წინამძღვრიშვილის სკოლას...

სათავად-აზნაურო სკოლების სრულიად პროფესიონალურ სკოლებად გარდაქმნა და მაშასადამე მოსამზადებელის კლასების გაუქმება, ჩვენის აზრით, სრულიად შეუძლებელია, რადგანაც ამით მშობლებს სრულიად საშუალებას მოვუსპობთ შვილები მოამზადონ საშუალო სასწავლებლებისათვის და თან იმიტომ, რომ მარტო პროფესიონალური სწავლა-ცოდნა საკმარისი არ არის ქვეყნისათვის.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ, 8 სექტემბერს, ტფილისში საშინელი ავაზაკობა მოხდა. სალამოს მეათე საათზედ შეუვარდა მთაწმინდის პირველ უბნის პოლიციის მოხელეს წინამძღვარიშვილს სახლში ვიღაც ლეკი სოფ. ახტიდამ და ამ მოხელეს ცოლი, ოლგა თევდორეს ასული, რუსის ქალი, სამს ალაგას დასჭრა. ქალმა სულ რამდენისამე წუთის შემდეგ სული განუტევა, ასე რომ ექიმიც ველარ მიასწრეს. წინამძღვარიშვილი დგას გოლოვინის პროსპექტის შესახვევში, კაზლოვის ნომრებს ზემოდგან, ბალდოევის სახლებში. ავაზაკი გუშინდელს დღეს თითქმის სამჯერ მისულა წინამძღვარიშვილის საკითხავად, მაგრამ შინ არა ყოფილან და მოახლეს უკანვე გაუსტუმრებია. სალამოს ცხრა საათზე წინამძღვრიშვილი ცოლითურთ დაბრუნებულა, ცოლი სახლში მიუყვანია და თითონ იქვე პოლიციის განყოფილებაში გადასულა. სწორედ ამ დროს მიხდომია ზემოხსენებული ლეკი, სიგა-ოღლი, და კვლავ უკითხავს პოლიციის მოხელე. გოგოს კარები გაუღია; ამ დროს თითონ წინამძღვარიშვილის ცოლსაც გამოუნათებია ლამპარი. მივარდნია მკვლელი და ხანჯლით დაუჭრია. შემდეგ გამოვარდნილა, გრიბოედოვის ქუჩისაკენ აურბენია, მერე დავიდოვის ქუჩაზედ ჩაუხვევია და გოლოვინის პროსპექტზე გასულა. გრიბოედოვის ქუჩასთანავე წინ შეჰყრია ბორჩალოს მამასახლისის ხელ-ქვეითი, მაივალდოვი, რომელიც რამდენისამე დღით ჩამოსულა ტფილისში რაღაცა საქმისათვის. მაივალდოვს ქალის ყვირილი გაუგონია, დაუნახავს გაქცეული მკვლელი, გამოსდგომია და დაუჭერია ბარიათინსკის ქუჩის თავში. მკვლელი უნახავთ აგრეთვე ზოგიერთებს გრიბოედოვის ქუჩაზედვე ხანჯალ-ამოღებული. მაივალდოვი ყმაწვილი კაცია ოცის-ოც-და ორის წლისა. როცა მკვლელი პოლიციაში მიუყვანია, სიგა-ოღლის უთქვამს მაივალდოვისათვის: „ნეტავი მოგეკალ და არ დაგეჭირა-კი ჩემი თავიო“. ათსა თუ თერთმეტის ნახევარზე გამომძიებელი ტროცკი მოვიდა, ნახა მოკლული, დაათვალიერა პოლიციის მოხელეს სახლი და შემდეგ სიგა-ოღლისაც გამოჰკითხა. სიგა-ოღლი ახალად ულვაშ-აშლილი ყმაწვილ-კაცია, შავი პალტო აცვია პარუსინის პერანგზედ. სიგა-ოღლიმ, ვიდრე გამომძიებელთან წარსდგებოდა, ცხვირიდგან სისხლი წაიდინა სისხლის წინწკლების დასაფარავად, მაგრამ მაინც უპოვნეს ნიშანი: ძველი წინწკლები ჰქონდა სისხლისა რამდენსამე ალაგას, განსაკუთრებით-კი უკან ბეჭთან და წაღებსა და წაღის ძირებზე. მკვლელი არ გამოტყდა მის მიერ ჩადენილს ბოროტებაში, მხოლოდ რაღასაც დუდუნებდა, როცა ჰკითხავდნენ; სხვა თითქმის არა უთქვამს-რა. მეზობლების სიტყვით, როცა სიგა-ოღლი შესულა სახლში, ოლგას ხმა გაუგონიათ გარედ: „რას სჩადიხარ, შე ასეთ-ისეთოვო“, და ამის შემდეგ წივილ-კივილიც ატეხილა. მოკლული საანატომიო კაბინეთში გაგზავნეს. როგორც გავიგეთ, გუშინ სიგა-ოღლის ულიარებია დანაშაული და ორი ამ ავაზაკობაში მონაწილეც დაუსახელებია.

*** გუშინ-წინვე მიხეილის ქუჩის კუთხეში, სადაც რკინის გზისაკენ შეუხვევენ ხოლმე ეტლები, ცხენის რკინიგზამ ქვეშ მოიტანა პატარა ბიჭი, სვიმონ კოტეტიშვილი, და თავი გაუტეხა რამდენსამე ალაგას. თავ-გატეხილი საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** საზოგადოდ, ცხენის რკინიგზის მეეტლენი და კონდუქტორები ძალიან უყურადღებოდ ეკიდებიან თავიანთს მოვალეობას. გუშინ-წინვე, 8 სექტემბერს, მიხეილის ქუჩის და ნემენცის შესახვევის კუთხეში ცხენის-რკინი-გზის მატარებელმა, მე-27 №-მა, ქვეშ მოიტანა თხუთმეტის წლის ბავშვი, კონსტანტინე ვიოლდკოვი, ზედ კანჭებზე გადაუარა და ორივე ფეხები მოამტვრია. ვიოლდკოვიც საავადმყოფოში გაიგზავნა.

*** ვაგზალს ახლო ქვეშ მოიყოლია პოეზკამ ერთის მალაკნის ბავშვი, ზედ გადუარა და ცალი ფეხი მოსტეხა.

*** ამ კვირა-ნახევრის წინად ბორჩალოს მაზრასთან დაუჭერიათ ყაზახებს ერთი ავაზაკი, ბაირამ-მირზა-ყიაზიმ-ოღლი. ავაზაკი გამოუტეხნიათ დამჭერებს და უთქმევინებიათ, რომ ქიარიმას ბრბოს ვეკუთვნი და ექვსი წელიწადია გავარდნილი ვარო. ამ ჟამად ყიაზიმ-ოღლი ტფილისში ჩამოიყვანეს და მეტეხის ციხეშია დამწყვდეული.

*** „ქართულის დრამატიულ საზოგადოების“ წევრთა კრება დანიშნული იქნება, როგორც ამ საზოგადოების მმართველობა გვატყობინებს, ამ თთვის დამლევს. კრებაზე განხილული იქნება შემდეგი საგნები: 1) სეზონის ანგარიში; 2) სავარაუდო ანგარიში მომავალ წლისა; 3) ახალის წევრების არჩევა.

მმართველობას ამ ზაფხულს ჰქონია ათიოდე სხდომა, რომლებზედაც განხილული იყო ფორკატტის პირობები ქართულ დასის შედგენის თაობაზე, ახალის რეჟისორის არჩევა, რეპერტუარის შედგენა და სხვა. რეჟისორად მოწვეული იყო ბ-ნი მიხ. ქაიხოსროს ძე ყიფიანი, რომელმაც მაშინ გარდაწყვეტილი პასუხი არ გამოაცხადა ამ თანამდებობის მიღებაზე, და ეს საგანი ამ დღეებში ხელ-მეორედ იქნება განხილული მმართველობისაგან. რა გარდაწყვეტილებასაც დაადგება მმართველობა, დაწვრილებით შევატყობინებთ ჩვენს მკითხველებს.

*** წარსულის თთვის პირველ რიცხვებში ტფილისის პოლიციას მოუვიდა ცნობანი, რომ შუშის მაზრაში სამიჯნო ყარაულებმა ეჭვი აიღეს ერთს ქარავანზე, რომელსაც მოჰქონდა რაღაც საქონელი. გამოხმაურებაზე ასტყდა თოფის სროლა. ქარავანი სიჩქარით გაჰშორდა ყარაულებს, მაგრამ მაინც უკანასკნელებმა წაართვეს ცოტა რამ კონტრაბანდით მონაველ საქონელიდამ.

ამ ცნობების გამო პრისტავის თანაშემწე ბ-ნი ვალაბოევი წავიდა ტფილისიდამ, რათა ჩაჰსაფრებოდა სადმე გზაში. 11 დღე და ღამე ჩასაფრებული იყო ბაქოს გზაზე. თანა ჰყოლოდა ორი ყაზახი. მეკონტრაბანდენი ყოფილან თათრები. ამათ შეუტყვიათ, რომ თვალს გვადევნებენო, და სართიჭალიდამ უკანვე დაბრუნებულან. ეს უცნობებიათ ბ-ნ ვალაბოევისათვის, რომელიც გამოსდგომია ორის ყაზახით. ერთს ამათგანს დაჰვარდნია ცხენი და დარჩენილა ვაზიაანში, ხოლო თითონ ვალაბოევი ერთის ყაზახით გამოეკიდა უკან და წამოეწია სართიჭალასთან ახლოს. თურმე დაინახა თუ არა მდევარმა მეკონტრაბანდენი, მიჰვარდა პირდაპირ და შესძახა, დამნებდითო. ისე რიხიანად მივიდა მათზე, რომ თუმცა თათრები თავით-ფეხამდის შეიარაღებულნი იყვნენ, მაგრამ უთქმელად დაჰნებდნენ. ეს ამბავი მოხდა 23 აგვისტოს დილით. პრისტავის თანაშემწეს საქონელში აღმოჩნდა 251 ცალი ხალიჩა უბაჟოდ შემოტანილი და $54\frac{1}{2}$ ფუთი ჩაი, ისიც უბაჟო.

ამ ბოლოს დროს ნაპოვნი უბაჟო საქონელიც თურმე ამ თათრების ამხანაგობას შემოუტანია. ამას წინად რო ზუბალოვის ქარვასლაში 6 ფუთი ჩაი დაიჭირეს, იმასაც ამავე ამხანაგობას აბრალებენო, როგორც გვითხრეს ამ საქმის მცოდნე კაცებმა.

*** პოლიციის მეცხრე განყოფილებაში, ოჰანეზოვის ტრაქტირში მისულიყო ერთი პატარა ბიჭი, რომელიც შეხედვით შვიდის წლისაზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნამდვილად-კი 13 წლისა გამოდგა. ოჰანეზოვს შესჩივლა თურმე, რომ ჯარის-კაცის შვილი ვარ და მამამ სახლიდამ გამომაგდოო; შიმშილით ვკვდები, მაჭამეთ რამეო. ოჰანეზოვს უჭმევია პური და მიუცია ბინა თავის დუქანში. პატრონებს რო დასძინებიათ, ამდგარა ეს ერთი ბეწვა ბიჭი, ამოუღია ზანდუკიდამ ვერცხლის ხანჯალი, ორი საათი ვერცხლისა, სამი მანათიც შავი ფული, ჩამჯდარა დახურულ ფაეტონში და წასულა აბანოებისაკენ. იქ დაჰხვედრია უბნის ზედამხედველი პოლიციისა, აუღია ეჭვი, დაუჭერია და წაუთმევია მოპარული ნივთები.

*** ამას წინად ბ-ნმა ქართველიშვილმა და რცხილაძემ ითხოვეს ნება-რთვა საყმაწვილო ჟურნალის გამოცემისა ქართულს ენაზედ. დღეს ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამის თაობაზედ უარი მოსვლიათ პეტერბურგიდამ.

*** თიანეთში უკვე შესდგომიან სახელმწიფო სასახლის აშენებას. სასახლეს აკეთებენ ბანაკებთან ახლოს, მთაზე. ადგილ-მდებარეობა სასახლისა მეტად მშვენიერი რამ არის თურმე და თითონ შენობაც ძალიან კარგი იქნებაო. ეხლა საძირკველი ამოყვანილია და მუშაობაც გაჩაღებულია, რის მიზეზითაც მუშის ფასმა ძალიან აიწიაო. შენობა კარგა დიდი იქნება თურმე.

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“ მიიღო პოლიციიდამ 25 მან. და 70 კაპ., შეგროვილი წარმოდგენიდგან, რომელიც გამართული იყო საკომერციო კლუბის საზაფხულო სადგურში სცენის მოყვარეთა მიერ. საზოგადოება მადლობას უცხადებს სცენის-მოყვარეთ: ქ-ბ-ნთ: ტ. არლანის, თ. კეზელისას, ვარშა-

---

აი ავიდგამ ფეხს, მიმოვივლი კოლხიდის დაბა-ქალაქებს და შესანიშნავ სოფლებს, და სადაც რა იქმნება მოსახერხებელი და როგორც, ისე მოვიწერები ზემო-აღნიშნულ საგნების შესახებ.

პირველად გიახლებით ქალაქს ფოთს. აი, კიდევაც მივედით. ვაგზალზე ხალხი ირევა. ახალგაზრდა ვაჟები მეგრულად არიან გამოწყობილნი და იმდენად იზნიქებიან სატევარზედ ხელ-დადებულნი, რომ აი, აი, აგერ წელში გადატყდაო, გეგონება. ქალები მეტად სადად არიან ჩაცმულნი, ამათ ტანთ საცმელს არ აუშნოებს ტიურნური, ისინი თოფის ზუმპასავით ლერწამტანოვანად სდგანან მარტივ კაბა მოსილნი და თავზედ თვალთ-მაქცურად თეთრი ლეჩაქი ეფარფარებათ. უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოდ მეგრელის ქალებმა მარტივად იციან ჩაცმა, მაგრამ მეტის-მეტად უბრალოდ იხურვენ თავს: ლეჩაქი, ერთი ქინძისთავი, მორჩი და მოისვენე. არც გვგელა, არც გაურჯელა, არც კოპი...

ვისაც მა ძლი არა ჰყავს, ხუმარაძის სასტუმროს ვერ ასცილდება. იგი ვიღაც ფრანგის ქალს უჭერია, ყველაფერი ფაქიზი აქვს, მაგრამ ყველაფერი ძვირი, სადგომიც და სარჩოც. ფაეტონში ჩასხდებით და მეტად გრძელს ხიდს გაივლით. თუ ვინმე გახლავს ადგილობრივი, აქ ნამყოფი, ერთს სასაცილო ამბავს გეტყვის ამ ხიდის შესახებ: როცა იგი აუშენებიათ, მისულა ქუთაისის გუბერნატორი, გ. ლევაშოვი, და ჩამბარებელი კომისიაც წაუყვანია. ამ კომისიაში ყოფილა აგრეთვე ვაჭარი ხუმარაძე.

იგი შემდგარა ხიდზე, მოუჭიდნია ხელები მოაჯირისათვის, დაუნძრევია და, რადგანაც ხიდი არ დანძრეულა, უთქვამს: საქრისტიანო დაიქცევა და ამ ხიდის შებლალვა-კი არ შეიძლებაო. ამას როგორ იქმოდა ხუმარაძე, მაგრამ უთუოდ ბოროტის ენის მოგონილია.

მეორე დღეს გინდა მთელი ფოთი დაიარო და რაც საყურადღებო რამ არის, დაათვალიერო. უხსოვარს, ძველს დროს ოქროს მატყლოვანი ვერძი ბმულა, მაგრამ ეხლა ოქროს მატყლოვანს ვერა ენახავთ. ოქროს აღარ ისხამს რქა-გრეხილი ვერძი, მაგრამ გურია-სამეგრელოდამ აქ მოგროვილი ოქროს ფერი სიმინდი-კი ბევრს ოქროს იზიდავს საფრანგეთიდამ და სხვა ქვეყნებიდამაც. უფრო ბევრსაც მოიზიდავდა, რომ თავიანად ვაჭრობდნენ. აქაურებისა ექვსი-შვიდი მილლიონი ფუთი სიმინდი გადის ფოთის ნავთ-სადგურიდამ; რიგიანს გზას რომ ადგეს სიმინდის ვაჭრობა და მარსელამდის ოთხსა და ხუთს არ გაუვლიდეს ხელში ეგ, მეტად სარგებლიანი, სავაჭრო მარცვალი, აქაურ ვაჭართ რომ გამჭრიახობა და ამხანაგობის შნო ჰქონდეთ და პირდაპირ ევროპიელ ფირმებთან დაიჭირონ საქმე, სიმინდის პატრონები ერთი-ორად მოიგებდნენ. მაგრამ ამაზედ მერე. ფოთელებს ოქროს მატყლოვანი დაევიწყებიათ, სამაგიეროდ ეხლა სამი რამ მოსწონთ: პლავსკის სახლი, კურკოვსკის ბაღი და X-ის ქალი; მეოთხესაც რომ მოუმატებდნენ, კარგი იქმნება, რადგანაც ეოთხკუთხოდ სახლი არ შენდება. სახლი და ბაღი ორივე ენახეთ, და სწორედ ორივე მოსაწონებელია, მაგრამ ქალს ველარ შევხვდით.

ერთბაშად ფოთის დანახვა ძნელია, აქ მაღლობს ადგილს ვერ ნახავ, როგორც ქუთაისში, მაგალითად, უხიმერიონის ბრეკია და ტფილისში მთაწმინდა; თვალ-წინ გეფარება სახლები, ხეები, ანძები, აფრები. არწივ-შევარდნობასა ჰნატრობთ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ნატვრა ძვირად აუსრულდება კაცს და უმჯობესია, კანდელს მიჰმართო. ჩაუხვიე ბულვარში, გასცილდი „ტამოჟნას“ და მიადგები სანავოს. აქ მეგრელი სდგას, რომელსაც მხარზე მეზვერესავით ჩანთა გადუკიდებია. თუ რიონს გაღმით გინდა წასვლა, ორს კაპეიკს მისცემ ორივე მგზავრობისას და თუ პირდაპირ რიონზე ნავით გინდა მიხვიდე, მანეთ ნახევარი დაგიჯდება. მე რიონზე ვარჩიე. მოუსვა მენავემ ხოპი და ოც-და-ხუთს წამს კანდელის ძირში გავჩნდით. თვით კანდელზე ვართ. იგი 20 საჟენია, ანუ 140 ფუტი. მაღლა ასვლამ შეგვაწუხა, მაგრამ მაგიერად კანდელიდამ ნანახმა სურათმა დაგვაჯილდოვა.

აღმოსავლეთით დაინახავ სრულიად პალიასტომის ტბას და მდინარე კაპარჭს, რომელიც ტბას ზღვასთან აერთებს, რიონსა და პალიასტომს შორის თვით ქალაქ ფოთს, სამხრეთ-დასავლეთით ზღვას. ეჰე, იქ, შორს, შავის ზღვის ყურში, კავკასიონის მითაქამის თოვლით გასპეტაკებული ბოლო აწყდება, აქედამ მოჩანს ეკის «გოლა» და ნაქალაქევის სერები და კიდე—მოტეხილის ხომლის მთა. ერთიც შემოტრიალდი და შენს წინ გაიშლება მთა და ბარი გურია-ბათუმის კიდემდე და მთელი ბარი-სამეგრელო. ახლო მდებარე ადგილებს მივაპყრათ ყური. დავიწყოთ პალიასტომიდგან. დღეს იგი ეკუთვნის სამეგრელოს თავადს; გაცემული აქვს სათევზოდ, მგონი 3,000 მანეთად წელიწადში. სიგრძით ხუთი ვერსია, სიგანით ოთხი. ჩვენ როცა შეგვხვდა ზედ გავლა „კატერით“ (გუბერნატორ გროსმანთან), წყალი არ იყო წმინდა; რაღაც ჟანგის ფერი ჰქონდა. ამბობენ, ყოველთვის ასეთი ფერი აქვსო. გარშემო ლელ-კალამი ამოსულა; რამდენიც

კიძეს; ბ-ნთ: ალ. აბაშიძეს, იანქოშვილს და მათირაშვილსა, რომელთაც უსასყიდლოდ მიიღეს მონაწილეობა ამ წარმოდგენაში.

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავს შემოსწირეს წიგნები: 1) ბ-ნმა ალ. ცხვედაძემ 30 ცალი მის მიერ შედგენილ წიგნისა: „ექიმობა და დარიგება; ქალის ავადმყოფობა ორსულობის დროს და მის შემდეგ“; 2) ბ-ნმა იანქოშვილმა თავის შედგენილი და გამოცემული წიგნი: „ციცინათელა, საყმაწვილო ამბები“ (6 ცალი), და 3) ბ-ნ გ. საძაგლიშვილმა— ა) „ბუნებითი კატეხიზმო“, ქმნილი მღვდელ-მონაზონ იონას მიერ; ბ) „დაუჯდომელი იესოა ქრისტესი და მღვთის-მშობლისა“, აღბეჭდილი საჩხერეში მეფე სოლომონ II-ის დროს, გ) „საქრისტიანო მოძღვრება“, გადმოთარგმანებული იტალიანის ენისგან ქართველს მხედრულს ენასა ზედა საქართველოს გორელ ტლუკაანთ დავითისაგან. რომი, 1737 წ., და დ) ცხოვრება წმ. ანდრია სალოსი. საზოგადოება მადლობას უცხადებს შემომწირველთა.

## მართებლობის განკარგულებანი:

ამ დღეებში უმაღლესად დაჯილდოვებულ იქმნენ: თავადი დადიანი, რომელსაც ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა; აბდუშელიშვილი, კომანდირი ბათუმის მილიციის სოტნასი—ებოძა კაპიტნობა; თ. ნიკოლოზ ჭავჭავაძე, სამხედრო გუბერნატორი დაღესტნისა—ებოძა ორდენი თეთრის არწივისა; თ. დავით სუმბათაშვილი—ორდენი წმ. სტანისლავ 1-ის ხარისხისა.

—

აი ვინ რა მენდალი მიიღო სამხედრო-საერო გამგეობაში გულ-მოდგინე სამსახურისათვის.

ოქროს მენდალი ყელზე სატარებელი: სოფ. კედას მცხოვრებელმა ართვინის მაზრაში მაჰმედ-ბეგ შერვაშიძემ; იმავე მაზრის სოფელ კაკა-ოღლის მცხოვრებელმა ემინ-ბეგ შერვაშიძემ; უფროსმა მამასახლისმა კახის მაზრისამ ზაქათალის ოლქაში ილიტე ბაჭალიაშვილმა; არტაანის ოლქის, სოფ. დიგურის მცხოვრებელმა შაქირ-ბეგ ქიამულ ბეგზადემ.

ვერცხლის მენდალი, ყელზედ სატარებელი: სოხუმის ოლქის მცხოვრებელმა ჯემლეტ აგარაცხელიამ; არტაანის ოლქის, სოფ. პურუტის მცხოვრებელმა ნაბი-ალა-იბრაჰიმ-ოღლიმ; ართვინის ხმოსანმა მურად-ეფენდი-კიკინ-ზადემ; სოხუმის ოლქის, სოფელ ნაბაკევის მამასახლისმა ასლან-ბეი პაპასკერიმ; ჭილოვის მამასახლისმა ბაგირ-ყამზაჩევ ჯოფუამ, და სოფ. ლიხნის მცხოვრებელმა ტამშუკ-დოუდ-იპა გუბლიამ.

ოქროს მენდალი მკერდზე სატარებელი—ზაქათალის ოლქის, სოფ. გიულლიუკის მამასახლისმა, შარიფ-ჰაჯი-აბდულ-ოღლიმ.

ვერცხლის მენდალი მკერდზედ სატარებელი—არტაანის მცხოვრებელმა არაფ-ჰაჯი-მაჰმედ-ოღლიმ; არტაანის მცხოვრებელმავე ტუსან-ალა-ჰაჯი-ემინ-ოღლიმ; ოლთის ოლქაში მცხოვრებელმა—შაბან-ამუ-ბექირ-ოღლიმ; სოფ. სტეფანოვკის მამასახლისმა შაინ-ალა-ხალილ-ოღლიმ; სოფ. კაკუტის მცხოვრებელმა—იუსუფ ბერიძემ; სოფ. მაკრიალის მამასახლისმა—ალი ალა-ზვანდაიამ; სოფ. მარადიდის მცხოვრებელმა ფერად-ეფენდი-გენჯალ-ოღლიმ; ართვინის მცხოვრებელთა: მუჰამედ-ალამ-ოღლიმ, მუსტაფა-ატან-ოღლიმ; სოხუმის ოლქის მცხოვრებელმა—შიმატ-აშუბამ; მუხურის საზოგადოების მამასახლისმა ნაუ-ღუძუნ-გვალიამ, დათა ხითუსძემ ეშბაიამ, კობზაჩი პალეიბამ, თილკა-ჯენგირ-კუტარბამ; ზაქათალის ოლქის სოფ. მულანლოს მამასახლისმა—მირზა-ახვერდი-ოღლიმ, და აგრეთვე მაღომა-გეროგ-ოღლიმ; ალიაბადის იასაულმა ომარ-ალა-ომაროგმა და ზაქათალის პოლიციელმა ხაჩი სვიმონის ძემ იაგრიევმა.

## წერილი რედაქციის მიმართ

თოთხმეტს აგვისტოს ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორის თანხმობით გავმართეთ დაბა ძველ სენაკში ლატარია-ალეგრი სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ. სალატარიო ნივთები ადგილობრივმა, საბაზროდ მოსულმა ვაჭრობამ და კერძო პირებმა შემოსწირეს, რისათვისაც დიდის მადლობის ღირსნი არიან. ფულადაც მივიღეთ შემოწირულება: თ. დიმიტრი დადიანისაგან 10 მანეთი, ბ-ნ მაზრის უფროსის ბებურიშვილისაგან—5 მანეთი, მომრიგებელ შუამავლის ს. ლორთქიფანიძისაგან—5 მანეთი და თ. ლევან ჩიჩუასაგან—3 მან. უფროს მზრუნველად ლატარიისა ბრძანდებოდა კნეინა ეკატერინე დადიანისა და მას ეხმარებოდნენ ქ-ნი. ბებურიშვილისა და ქ—ისა და ბატონი ბესარიონ ქავთარაძე, რომელმაც ყოველ გვარი საშუალება იხმარა ლატარიის წარმატებისათვის. უგულითადესს და დიდს მადლობას ვუძღვნი ეკატერინე დადიანისას, როგორც ლატარიის გამგეს; მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ქ-ბ-ნი ბებურიშვილისა და ქ-ბ-ნი ქ—ისა, რომელნიც თვით ლატარიის დროს გვეხმარებოდნენ.

მთელი შემოსავალი 175 მანათი იყო. აქედამ უნდა გამოირიცხოს დანახარჯი, რომელიც ბევრს არაფერს შეადგენს.

სენაკის სათავად-აზნაურო
სასწავლებლის ინსპექტორი
ს. ყიფიანი

## წვრილი ამბები

— ამერიკაში მისს მერი ჩაილტრჯსს, ახალგაზდა და ლამაზს მასწავლებელ-ქალს, გაუგია ამას წინად, რომ ვიღაც უმაწვილ-კაცი, ჯონ მოყუა, დადის და ჩემზედ ათას ვვარ ცილსა და ჭორსავრცელებსო. მასწავლებელ-ქალმა აიღო თურმე ხელში დამბაჩა, შეჯდა ცხენზედ, მივიდა მოყუასთან, გულზე დაადო დამბაჩა და უბრძანა:

— „ეხლავე განიმეორე, რაც ჩემზედ ჭორი გაგივრცელებია, თორემ აქვე სულს გაგაფრთხობინებო.“

უმაწვილ-კაცს ძალიან შეეშინდა, განიმეორა თავის მიერ გავრცელებული ჭორი და ბოდიში მოსთხოვა თურმე. ქალმა ეს ამბავი დაწვრილებით აცნობა ერთს მეტად გავრცელებულს გაზეთს. უმაწვილ-კაცმა ხმალში გამოითხოვა ქალი ამ ამბის გავრცელებისათვის, ქალი დასთანხმდა, ხოლო ბრძოლის დროს კაცი არ მივიდა თურმე დანიშნულს ადგილას.

— გერმანიაში დაუარსებიათ მეტად სასაცილო ყოველ-კვირეული გაზეთი. ამ გაზეთს სახელად „სიდედრი“ ჰქვიან, და მონაწილეობას თვით გაზეთის დამფუძნებელი ქალები და გაკცები იღებენ.

— ვიონალში ამ ჟამად დიდი ცვლილებანი ხდება. მემკვიდრე პრინცი ვიქტორ-ემმანუელი სრულ-წლოვანი შეიქმნა და ამიტომ განზრახვა აქვთ, დედოფალს მოაშორონ და ცალკე დაუნიშნონ სადგომი. დედოფალს ძალიან სამძიმრად მიაჩნია თურმე შვილთან განშორება და ცრემლ-მორეული თვალებით უთხოვნია ქმრისათვის, რომ პრინცს ნუ გადაიყვან ჩემგანაო. მეფე ჰუმბოლდტს უპასუხნია, რომ შეუძლებელია, პრინცს თავის ამადაში სულ უმაწვილ-კაცები ჰყავს და ძნელია მათი მანდილოსანს ახლო ცხოვრებაო. დედოფალს საჩქაროდ სიტყვა გაუწყვეტინებია მეფისათვის და უთქვამს: «ამ შემთხვევაში მე დედოფალი კი არა, დედა გახლავართო».

—ამას წინად ერთს სამკურნალოში თავსირჩენდა ერთი მინისტრი. იქვე ცხოვრობდა ერთი შემთხვევათა მეძიებელი ახალგაზდა ქალი, რომელსაც შეუყვარდა მინისტრი, ტრფობის ბარათი მისწერა თურმე და ნახვის ადგილიც დაუნიშნა. მინისტრმა წაიკითხა ბარათი, გაიღიმა და რადგან მსახური პასუხს ელოდა, ამოიღო ჯიბიდგან თავის სადარბაზო ბარათი და დიდის ასოებით დასწერა თურმე ერთად-ერთი სიტყვა, ხოლო ეს სიტყვა ისეთი მრავალ-მნიშვნელობიანი იყო, რომ ჭეშმარიტად შეყვარებულს ქალს გული გაუხეთქავდა. მიიღო თუ არა ქალმა ბარათი, სიამოვნებით ამოიკითხა თურმე სახელი და გვარი მინისტრისა, შემდეგ მეორე გვერდს დახედა და წაიკითხა: «ცოლიანი ვარ». შეჭვდილი, ამ სიტყვამ გასჭრა, რადგან ამ ქალს შემდეგ აღარა მიუწერია-რა მინისტრისათვის.

# დეპეშა

7 სექტემბერი

ტელმიე (ლუარის დეპარტამენტშია). დღეს პარადის დაწყობამდე გენერალმა ბულანჟემ მიჰმართა აფიცრებს და წარმოსთქვა სიტყვა. გუშინდელმა ბრძოლამა დაამტკიცა, რომ ჩვენი ჯარი მხნეა და გულადი, მაგრამ მე მაინც ფრიად საჭიროდ მიმაჩნია თქვენი დახმარებაო. წესი ზედ-მისევისა და საჯევის ომის რიგი შეთვისებული აქვს ჩვენს ჯარს ბუნებითვე, მაგრამ მაინც საჭიროა, რომ აფიცრები ეცადნეთ და უფრო მეტად შეათვისებინოთ ჩვენს ჯარს ზედ-მისევისა და საჯევის ომის წესი და რიგიო. გენერალმა ასე დაასკვნა თავისი სიტყვა: „ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭიროა ჩვენთვის, ეგ ნიჭი ზედ-მისევის ომისა გამოვიჩინოთ, რადგან ევროპის ერი ჯერ მალე არ აიხსნის თოფ-იარაღსა. უგუნურებაც იქნება, რომ დავიჯეროთ, ვითომ თოფ-იარაღის აყრას აპირობდნენ; ისიც-კი დანაშაულობა იქნება, რომ ვილაპარაკოთ ამაზე; ესეთი ლაპარაკი იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ვითომ საფრანგეთს ჰსურს, რაც უნდა იყოს, მშვიდობიანობა დაიცვას. ჩვენმა მტრებმა, რომელნიც ხშირად უფრო კარგად გვაფასებენ ჩვენ, ვიდრე ჩვენ თითონ ვაფასებთ ჩვენს თავს, კარგად იციან, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენი სურვილი ეგ არ არის. მაშ კვლავ განვაგრძოთ ჩვენი მხნეობა საფრანგეთის საკეთილოდ.

ბელგრადი. დღეს იუსტიციის მინისტრის თავს-მჯდომარეობით დაიწყო მუშაობა იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს კონსტიტუციის გადასინჯვა.

ბერლინი. გრაფი კალნოკი დაბრუნდა ფრიდრიხსრუედამ ვენაში.

როგორც ხმა ისმის, ორლეანთა გვარის წევრნი განიდევნებიან საფრანგეთიდამ პარიჟელის გრაფის მანიფესტის გამოვო.

ლონდონი. საფრანგეთი და ინგლისი მორიგებულან და განზრახვა აქვთ სუეზის არხზე თვალყურის დაჭერა მიანდონ საერთაშორისო კომისიას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა დიდთა სახელმწიფოთა უმთავრესი კონსულები.

8 სექტემბერი

პეტერბურგი. აღმოსავლეთ ციმბირის გენერალ-გუბერნატორს და მხედართ-მთავარს ირკუტსკის ჯარებისას, გენერალს იგნატიევს, ებრძანა, რომ ამიერიდამ იწოდებოდეს ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორად და იქაურის ჯარების მხედართ-მთავრად.

სტამბოლი. გაზეთმა „ბოლგარელი“-მ შეურაცხყოფა მიაყენა ამას წინად გერმანიის წარმომადგენელს რუშჩუკში. ამაზე საქმე შესდგა და გერმანიამ მუქარა შეუთვალა ბოლგარიას, სამს ჯავშნიან ხომალდს მოგაყენებ სამზღვარზეო. ეს საქმე ახლა გათავდა: გერმანიამ შეუთვალა ოსმალეთს, რომ ბოლგარიამ სრულიად დამაკმაყოფილა ამ საგნის გამოვო.

ლონდონი. ავღანის სამზღვრების გამიჯვნის გამო, დედოფალმა უბოძა ორდენები ინგლისის ელჩს პეტერბურგში და გამმიჯვნელთა კომისიის წევრთ.

---

დრო გადის, ეს მდინარე იმდენად უფრო უახლოვდება ტბის შუა ალაგებს.

ხალხი, მოგეხსენებათ, ცისა და ქვეყნის ყოველს მოვლენას ცოდვასა და მადლს მიაწერს ხოლმე. პალეასტომის გაჩენა-კი ცოდვის საქმეაო, ამბობენ. აქ ოდესმე ძლიერ დიდებული ქალაქი იყო, მაგრამ იგი ცოდვის საბუდრად გადიქცაო, განგებამ აღარ მოითმინა, დედა-მიწას პირი გაუხსნა, ქალაქი ქვესკნელს გაატარა და ნაცვლად აღმოადინა ცივი წყალიო. ამიტომ ხშირად გაიგონებ ადგილობრივ მცხოვრებთაგან: ცოდვამ პალეასტომის ქალაქი დააქციაო. მართალია, ხალხს იგი ტბა ნასოდომ-გომორლად მიაჩნია, მაგრამ მეცნიერება არ უჯერებს და ამას ამბობს პალეასტომზე: ამ ტბის სახელი ბერძნული რთული სიტყვა: „Paleon stoma“ არისო. ეს სიტყვა ჰნიშნავს ძველს შესართავს (მდინარისას), მაგრამ, თუ ილიადაში ხმარებულს სიტყვა «stoma»-ს მივიღებთ, მაშინ ასე ითარგმნება: ნაპირი ზღვისა, ზღვის ფართე ყურისა, ანუ ბუხტისა. ეგ უკანასკნელ მნიშვნელობიანი სიტყვა პირდაპირ ჰხატავს პალეასტომის ბუნებას, რადგანაც თურმე ძველად იგი დიდი და მშვენიერი ბუხტი ყოფილა, როგორც მოწმობენ ძველი მწერლები. მათი მოწმობა მოჰყავს ბ-ნს შაფრანოვს თავის წერილში (Сборникъ матеріаловъ). სილა-ქვიშის ზრეკი, რომელიც ტბა-ზღვის შორის გაწოლილია, წინად თურმე გაჭრილი ყოფილა არხით, რომლის საშუალებით ტბაში შემოდიოდნენ მრავალი გემები. ახლა ეგ ნაარხევი „ტორფით“ არის მოგებული... მდინარე მალთაყვის შესართავის სამხრეთით წყალში მოჩანს ორის ალაბის სიღრმეზე ქვის შენობა, რომელიც აღმოსავლეთიდამ დასავლეთით მიიმართება 30 საჟენამდე სიგრძით და ხუთია—სიგანით. მცხოვრებთ აზრით, ეს შენობა იმ ქალაქის ტაძართ ნანგრევებია, რომელიც ცოდვისაგან დანგრეულაო. ძველ მწერალთა აზრით, აქ უნდა ყოფილა ნავთ-სადგურისათვის მოწყობილი შენობა, მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ტბა ტორფს უნდა აევსოს. მართლაც, როგორც ამბობს ბ-ნი შაფრანოვი, თურმე ბურღი რვა ალაბზე იღებს „ტორფსაო“. აქედამ ცხადადა სჩანს, რომ პალეასტომი უნდა იყოს ნაშთი დიდის და ვრცელის ზღვის ყურისა, რომელიც ოდესმე ძრიელ კარგი ნავთ-სადგური ყოფილა.

ვინც ფოთის ბუხტის ამბავი იცის, ვისაც კარგად უანგარიშნია ამ მუდამ დაუსრულებელ ნავთ-სადგურზე დაფანტული ფული (11 მილლიონამდე), ვინც წარმოიდგენს, რომ აქ ბუხტის გაკეთება შეუძლებელია, ცხადია, რომ თავში მოუვა აზრი: არა სჯობს, რომ თვით პალეასტომი გახადონ ნავთ-სადგურადაო? მე ამ საქმისა იმდენი გამეგება, რამდენიც ჩინეთის წერა-კითხვისა, მაგრამ ის-კი ცხადია, რომ მგონი იმის ნახევარიც არ დაეხარჯებოდათ პალეასტომის ნავთ-სადგურად გაკეთებისათვის, რამდენიც ბუხტის გოჯილაობისათვის დაფანტულა.

როცა ფოთში ვიყავი, იმ დროს გუბერნატორს მოელოდნენ. მოგეხსენებათ, ფოთი მეტად პურ-მარილიანი ქალაქია. უცხო სტუმრების პატივისცემა უყვარს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სტუმრებისაგან მარილს თუ არა, მარილიან სიტყვებს გამოელის. ხმოსნებს სამასპინძლოზე ლაპარაკი შეექნათ, ქალაქის ფულით სჯობს მასპინძლობა, თუ ჯიბის ფულითაო. ძლიერ რიგიანად გადასწყვიტეს: ჯიბას გაჰკრეს ხელი. ასე რომ არა ყოფილიყო, შესაძლებელია, გუბერნატორი სადილზე უარსაც განაცხადებდა. ახლა ატყდა ბაასი: ჩვენებური სადილი იყოს, თუ ევროპიელიო. ევროპიელმა დასძლია მწვადს და ჩიხირთმას. რასა იქ! ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგს მღვდლის წვერიო. სადილის საქმე დაბოლოვდა. ახლა პურ-მარილის მირთმევაზე უნდა მოილაპარაკონ. ესეც გარდასწყდა. ერთი ფუნთუშა პური და გვარიანად ლითრებული ვერცხლის ხონჩა. პური ღმერთმა შემჭმელს შეარგოს და ხონჩაკი ბატონმა გუბერნატორმა აქაურს საქალებო სკოლას აჩუქა.

ახლა ხვალის „რეჩზეა“ საუბარი. იტყვის ხვალ ჩვენი «გოლოვა» რეჩს, თუ არა? იტყვის, თუ არა?—აი ფოთელების საკითხავი. ხომ იცი, ახლა კაცი ისაა და ქუდიც იმას ხურავს, ვისაც რეჩის თავი აქვს, და ეგ ხომ კარგად იცი, რომ ბუხტის მაშენებლები წერილებით როგორ გამოდიოდნენ. იმათ რომ რეჩები და წერა არა სცოდნოდათ, ხომ იმდენი ინჟენერები შიმშილით დაიხოცებოდნენ. „გოლოვა“-კი ყურს არ იბერტყავს. გუბერნატორი ნაშუა-დღევს მობრძანდა, თორმეტის ნახევარზე. პურ-მარილი მიიღო. ხვალ ქალაქი უნდა დაიაროს. პალეასტომზედაც იყო, და სადილად ძრიელ გვიან დასხდნენ ხუმარაძის სასტუმროში. სადილის დროს ქალაქის თავმა „რეჩი“ სთქვა და ჩამოთვალა ფოთის საჭიროება და განმარტა, რამდენად საჭიროა ადმინისტრატიული შემწევნობა ქალაქისათვის. გუბერნატორმაც საიმედო სიტყვით უპასუხა და ხმოსანთა და ქალაქის თავის სადღეგრძელო მიირთვა... ამითი არ ვათავებთ ფოთზე ლაპარაკს.

ს. ყ—ნი

**პარიჟი.** პალატათა სესიის დამდევს რუვიემ წარმოსთქვა სიტყვა პარიჟის გრაფის მანიფესტის პასუხად; რადიკალები ფიქრობენ შეიტანონ წინადადება, რომ ყველა პრინცი ორლეანთა განდევნილ იქმნან საფრანგეთიდამ, ხოლო მათი მამულები სახელმწიფოს სასარგებლოდ შეირიცხოს.

**ბერლინი.** იმპერატორმა ვილჰელმმა უბოძა რუსეთის სამხედრო რწმუნებულს კუტუზოვს ორდენი „გვირგვინისა“—მეორე ხარისხისა ვარსკვლავითურთ.

**მეც.** თექვსმეტის წლის შვილი შნებელესი შეიპყრეს გერმანიის მიწა-წყალზე და ჩასვეს ციხეში, რადგან გერმანიისათვის ყოვლად შემაძრწუნებელ შინაარსის ქაღალდებს აკრავდა კედლებზედ.

9 სექტემბერი

**თეირანი.** ეიუბ-ხანთან ერთად გაქცეული გენერალი მაჰმედ-ნური დაიპყრეს, ხოლო თვით ეიუბ-ხანი კი ისე მიეფარა, რომ კვალიც ვერ უპოვნეს და არ იციან, სად იმყოფება ამ ჟამად.

**პეტერბურგის ბირჟა, 7-ს სექტემბერს**
ფ ა ს ე ბ ი:

| | მოთხოვ-ნილსა | გამყიდ-ველისა | გარიგე-ბულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | — » | 9 96 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 179¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . | — » | — » | 1 30 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 272 |
| — მეორისა . . . . | — » | — » | 251 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | — » | — » | — » |

სახელმწიფო ბანკის მოგებათა ტირაჟში 2 სექტემბერს 1887 წ. ხუთას მანათიანი მოგება რგებია შემდეგს 5% ბილეთებს მეორე შინაგანის სესხისას 1874 წლისას.

| №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3561 | 40 | 11654 | 20 | 10644 | 18 | 13671 | 41 |
| 12934 | 6 | 4146 | 9 | 1592 | 27 | 9074 | 48 |
| 5708 | 29 | 8083 | 37 | 3799 | 6 | 10295 | 35 |
| 6451 | 16 | 14925 | 12 | 19515 | 39 | 8768 | 25 |
| 9038 | 1 | 2995 | 12 | 12890 | 36 | 9915 | 14 |
| 2049 | 48 | 5022 | 35 | 10266 | 44 | 18596 | 48 |
| 435 | 48 | 15774 | 49 | 5307 | 33 | 1668 | 48 |
| 11277 | 14 | 13938 | 6 | 8492 | 28 | 16145 | 1 |
| 3949 | 48 | 3904 | 19 | 5509 | 35 | 10482 | 9 |
| 9080 | 21 | 11814 | 50 | 10033 | 5 | 1521 | 29 |
| 7653 | 3 | 17544 | 19 | 14395 | 24 | 7596 | 50 |
| 1727 | 22 | 8693 | 9 | 10682 | 41 | 14895 | 10 |
| 8004 | 46 | 6861 | 34 | 15858 | 22 | 961 | 5 |
| 14704 | 38 | 12662 | 44 | 13350 | 39 | 2904 | 2 |
| 19677 | 18 | 15430 | 40 | 9729 | 37 | 6186 | 16 |
| 13388 | 29 | 17912 | 50 | 12775 | 30 | 17585 | 9 |
| 18176 | 36 | 12148 | 38 | 8330 | 46 | 730 | 29 |
| 12571 | 28 | 3671 | 3 | 298 | 37 | 14192 | 28 |
| 15813 | 37 | 7252 | 43 | 19720 | 23 | 2188 | 10 |
| 1311 | 28 | 19119 | 22 | 12170 | 14 | 13155 | 32 |
| 19093 | 20 | 10831 | 47 | 495 | 35 | 3755 | 21 |
| 15116 | 9 | 17848 | 5 | 5367 | 10 | 15478 | 17 |
| 3147 | 28 | 18197 | 10 | 3792 | 37 | 7755 | 23 |
| 4306 | 38 | 2647 | 19 | 16907 | 32 | 3028 | 24 |
| 253 | 21 | 7021 | 20 | 19601 | 18 | 19857 | 41 |
| 6589 | 34 | 15655 | 27 | 12968 | 2 | 7021 | 46 |
| 12461 | 19 | 19109 | 30 | 16075 | 39 | 16805 | 16 |
| 1288 | 47 | 5397 | 2 | 14892 | 28 | 9607 | 26 |
| 18397 | 13 | 12387 | 27 | 8618 | 17 | 15716 | 2 |
| 17825 | 9 | 8768 | 31 | 14891 | 5 | 19813 | 40 |
| 5609 | 19 | 8634 | 41 | 12431 | 22 | 13577 | 30 |
| 2037 | 13 | 11590 | 30 | 5812 | 44 | 15821 | 2 |
| 19960 | 18 | 10598 | 37 | 1257 | 3 | 19176 | 41 |
| 5134 | 10 | 5599 | 43 | 17764 | 3 | 8898 | 7 |
| 13282 | 10 | 500 | 36 | 7419 | 15 | 2345 | 29 |
| 18496 | 49 | 2526 | 3 | 1614 | 21 | 18636 | 20 |
| 14579 | 27 | 10503 | 39 | 16902 | 27 | 9241 | 3 |
| 19182 | 30 | 8760 | 27 | 10766 | 35 | 11987 | 15 |
| 13216 | 9 | 619 | 34 | 5986 | 21 | 17620 | 15 |
| 3808 | 5 | 10591 | 37 | 10953 | 21 | 6742 | 21 |
| 11823 | 28 | 13500 | 47 | 2012 | 42 | 19389 | 27 |
| 9310 | 40 | 3546 | 15 | 10208 | 45 | 12254 | 35 |
| 7950 | 45 | 53 | 3 | 846 | 28 | 9809 | 41 |
| 5765 | 43 | 6228 | 38 | 19966 | 38 | 13879 | 38 |
| 4941 | 18 | 14643 | 41 | 19381 | 23 | 18060 | 4 |
| 7638 | 1 | 5092 | 19 | 2689 | 33 | 5119 | 39 |
| 1772 | 19 | 13594 | 50 | 5797 | 9 | 17467 | 22 |
| 194 | 50 | 12278 | 38 | 7585 | 19 | 18804 | 29 |
| 4724 | 3 | 17927 | 21 | 7446 | 24 | 7228 | 27 |
| 10859 | 6 | 16220 | 11 | 8046 | 35 | 10531 | 17 |
| 6214 | 32 | 564 | 24 | 17631 | 34 | 5279 | 19 |
| 8708 | 30 | 480 | 28 | 12896 | 26 | 15256 | 26 |
| 13601 | 15 | 19681 | 23 | 69 | 38 | 13988 | 47 |
| 7965 | 37 | 19054 | 49 | 11729 | 49 | 14178 | 33 |
| 2261 | 37 | 16812 | 13 | 4722 | 27 | 3879 | 8 |
| 13500 | 35 | 4466 | 34 | 16374 | 2 | 7962 | 34 |
| 17109 | 26 | 7009 | 14 | 7155 | 36 | 5988 | 3 |
| 8114 | 28 | 5218 | 48 | 8509 | 4 | 9010 | 26 |
| 19678 | 11 | 13323 | 24 | 11056 | 19 | 4820 | 18 |
| 3637 | 25 | 4424 | 38 | 6774 | 26 | 6707 | 28 |
| 11468 | 43 | 4748 | 9 | 19299 | 27 | 4552 | 36 |
| 15729 | 25 | 11248 | 5 | 12317 | 40 | 2093 | 16 |
| 17249 | 36 | 10168 | 41 | 10427 | 8 | 1924 | 34 |
| 14208 | 4 | 19107 | 26 | 7617 | 9 | 15101 | 49 |
| 17292 | 25 | 2856 | 45 | 6731 | 20 | 6128 | 32 |

ამ ბილეთებით მოგებულის ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ბანკში ს.-პეტერბურგში, 1887 წელს 1 დეკემბრამდე.

ნომრები სერიებისა, რომელთაც მოგება არ ერგოთ და გაბათილდნენ.

19093, 3869, 110656, 11060, 5968, 2713, 5799, 10071, 11755, 5838, 8010, 5963, 14223, 2055, 19060, 11896, 4018, 11466, 4379, 12631, 3399, 10811, 11694, 17899, 7299, 16156, 18071, 5206, 15257, 18858, 16037, 12795, 4528, 5693, 18493, 16231, 3494, 11206, 3489, 962, 5591, 12362, 9319, 14631, 529, 12611, 4189, 6760, 14951, 18140, 7147, 5446, 18952, 19381, 16739, 4017, 19859, 17512, 19851, 3801, 12693, 11549, 4026, 8136, 12274, 12142, 12267, 17726, 18994, 7315, 12340, 15761, 17226, 9974, 6067, 13088, 16665, 11155, 4940, 10859, 1900, 9984.

ამ ბილეთებისათვის ხვედრის ფულის მიღება თვითეულზე 125 მან. შეიძლება 1887 წ. 1-ლ დეკემბრამდე სახელმწიფო ბანკსა, მის კანტორებსა და განყოფილებებში.

## საკალენდარო ცნობანი

**სექტემბერი 30 დღით არის.**

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

**10 დღე ხუთშაბათი.** ქალწ. მოწ. ინადორასი, მიტრადორასი და ნიმვადორასი. კათოლ. წმ. ალმას. ნიკოლოოზ ტოლენტინელისა. მუსულ. მე-5 რიცხვი თთვისა მაღარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—შემოდგომა 9 სექტემბრიდგან იწყება და დღე და ღამე თანაბარდება. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 5—47, ჩადის 5—58. მთვარე 6 დღისაა.

**11 დღე პარასკევი.** თეოდორა ქალწულისა. მუსულ. მე-6 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 5—48, ჩადის 5—56. მთვარე 7 დღისაა.

**12 დღე შაბათი.** წმ. მოწ. ავტონომისა და თეოდორესი. სომეხ. წინადღესასწაული. ნავაკატიქი. მუსულ მე-7 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—შეუიარაღებელი ტფილისი დაიპყრო აღა-მაჰმად-ხანმა, მტკვრის ქვითკირის ხიდი დაანგრია, სამეფო სასახლე მოაოხრა და ცეცხლი წაუკიდა დიდ-ძალი მცხოვრებელი წაიყვანა ტყვედ ტფილისისა და მცხეთიდგან და წავიდა შუშისაკენ, 1795 წ.—გამოიცა მანიფესტი იმპერატორ ალექსანდრე I სა, რომლის ძალითაც საქართველოს მთავარ-მართებლად ინიშნება გენერ. კნორრინგი 2-რე, 1801 წ.—დაარსდა ამიერ-კავკასიის სამოსწავლო სემინარია გორში, 1877 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—52. ტფილისში მზე ამოდის 5—49, ჩადის 5—55. მთვარე 8 დღისაა.

**13 დღე კვირა.** განახლება ტაძრისა ქრისტეს აღდგომისა. წმ. დიდ-მოწ. ქეთევან დედოფლისა. კათოლ. წმ. ღვთის-მშობლისა. სომეხ. ხაჩვერაც (ამაღლება ჯვარისა).—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 5—50, ჩადის 5—53. მთვარე 9 დღისაა.

**14 დღე ორშაბათი.** ამაღლება წმ. უფლის პატიოსანის ჯვარისა. მარხვაა. კათოლ. ამაღლება წმ. ჯვარისა. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი (საფლავებთა კურთხევა). მუსულ. მე-9 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 5—51, ჩადის 5—51. მთვარე 10 დღისაა.

**15 დღე სამშაბათი.** დიდ-მოწ. ნიკიტასი. ღირსისა აბბა იოსებისა ალევერდ. მუსულ. მე-10 რიცხვი თთვისა მაგარრამისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51. ტფილისში მზე ამოდის 5—54, ჩადის 5—48. მთვარე 11 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | . . | 3 | » |
| » 2 | » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | . | 5 | » |
| » » 2— | | 3½ | » |
| » » 3 | » | 3 | |
| ჯაგრის მამის პურის ლავაში | | | |
| 1-ლის ხარისხისა | . . | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | . . | 4 | » |
| მე-3 — | . . . | » | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 7 | » |
| » 2 | » | 6 | » |
| სუკი | . . . . | 13 | » |
| ცხვრის ხორცი | . . . | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | » | » |
| » 2 | » | » | » |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამხრეთ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—ამის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსარჩულე გავკასიის ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსარჩულე, კავკასიის ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, სამშაბათს და ხუთშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ აქვთ რა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების საგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

---

## სახელმწიფო განცხადებანი

**ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ,** თანხმად თვისის გარდაწყვეტილებისა, დანიშნა საჯაროდ გასასყიდად თავის სადგომში უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო მოვალეს კოლლეჟსკი სოვეტნიკს ივანე ტელიაფუსს. ეს ქონება დაბა ხაშურშია, გორის მაზრაში და წარმოადგენს ორ-სართულიან ქვითკირის სახლს, რომელიც დღეს ქირით უჭირავს ხაშურის საფოსტო სადგურს. ამ სახლს მიშენებული აქვს ხის ცალკე შენობა ეტლებისათვის, საკუჭნაო, ბოსელი საქონლისათვის, თავლა ცხენებისათვის, სამჭედლო და სადგომი ოთახი. 1,400 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა უჭირავს ყველა ამ შენობას. ეს მამული დაფასებულია 19,900 მანათად; ამ ფულით უნდა შეივსოს ის სახელმწიფო ვალი, რომელიც ტელიაფუსზეა. ამ მამულის გასყიდვა დანიშნულია ნოემბრის 9 რიცხვსა ამა 1887 წელსა, დილის 11 საათზედ. სამს დღეს უკან იქმნება განმეორებითი გასყიდვა, თუ პირველს ვადაზე არ შესდგა ვაჭრობა.

ამიტომ ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული სყიდვით, დანიშნულს დროს მობრძანდეს საგუბერნიო გამგეობის სადგომში, სადაც შეუძლიან ჰნახოს დაწერილებით აღწერა ამ მამულისა და ყველა მის გასყიდვის შესახები ქაღალდები. (3—2)

---

**ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ,** თანახმად თვისის გარდაწყვეტილებისა, დანიშნა საჯაროდ გასასყიდად თავის სადგომში უძრავი ქონებანი, რომელნიც ეკუთვნის აწ გარდაცვალებულს ალექსი ტერ-ლუკასოვს. ეს ქონებანი იმყოფება ქალაქ ტფილისის მეორე ნაწილში და წარმოადგენს:

1) ორ-სართულიან სახლს სარდაფიანურთ და ორ-სართულიანსავე ფლიგელს მოწყობილობით, საქათმეთი და ეზოთი. მიწა ამ მამულს 278 ოთხ-კუთხი საჟენი და 2 ოთხ-კუთხი გოჯი უჭირავს. ეს მამული დაფასებულია 18,600 მანათად.

2) ორ-სართულიანს სახლს, რომელსაც აქვს სარაია, თავლა, ორი ფლიგელი, ერთი ერთ-სართულიანი და ერთიც ორ-სართულიანი, სარდაფი, ბაღჩა და ეზო. მიწა უჭირავს ამ მამულს 389 ოთხ-კუთხი საჟ. 7 ოთხ-კუთხი არშინი და 224 ოთხ-კუთხი გოჯი. დაფასებულია 9,000 მან.; ამ ფულით უნდა შეივსოს ის ვალი, რომელიც ტერ-ლუკასოვზე ირიცხება. დრო ამ მამულების გასყიდვისა დანიშნულია 11 რიცხვს ნოემბრისას ამა 1887 წ., დილის 11 საათზედ. მეორედ გასყიდვა სამს დღეს შემდეგ იქნება, თუ პირველად ვერ შესდგა ვაჭრობა.

ამიტომ ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული სყიდვით, მობრძანდეს დანიშნულს ვადაზედ საგუბერნიო გამგეობის სადგომში, სადაც შეუძლიან გასინჯოს დაწერილებითი აღწერა მამულისა და ყველა ქაღალდები ამ გასყიდვის შესახები. (3—2)

---

**ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ,** თანხმად თვისის გარდაწყვეტილებისა, დანიშნა საჯაროდ გასასყიდავად თავის სადგომში უძრავი ქონება სტეფანე მებურნუთაშვილისა. ეს ქონება ქალაქ ტფილისშია, პირველ ნაწილში და წარმოადგენს ერთ-სართულიანს სახლს ყოველისავე მოწყობილებით. ეს სახლი „საგურის ხევის“ გვერდზეა, აქვს ბაღჩა, ეზო და სხვანი. მიწა უჭირავს 700 ოთხ-კუთხი საჟენი, დაფასებულია 4,000 მანათად. ამ ფულით უნდა შეივსოს ის სახელმწიფო ვალი, რომელიც ირიცხება მებურნუთაშვილზე. ამ მამულის გასყიდვა დანიშნულია ნოემბრის 2-ს, ამა 1887 წ., დილის 11 საათზედ. თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, ხელ-მეორედ გასყიდვა სახლისა სამს დღეს უკან იქნება დანიშნული.

ამიტომ, ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს სახლი სყიდვით, მოვიდეს საგუბერნიო გამგეობის სადგომში, სადაც შეუძლიან დაწვრილებით განიხილოს აღწერა ამ ქონებისა და ყველა ქაღალდები, გასყიდვის შესახები. (3—2)

---


## კერძო განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** აცხადებს საყოველთაოდ, რომ 6-დგან 14 სექტემბრამდე გასინჯულ იქმნება მილის წყალი და ამ დროის განმავალობაში ნება აქვთ ფას-გადაუხდელად ისარგებლონ ამ წყლით როგორც წყლის-გამყიდავებთ, აგრეთვე მხმარებელთაც. 14 სექტემბრიდგან-კი მილის-წყლის ხმარებაზედ შემოღებულ იქმნება ქალაქის საბჭოს მიერ დაწესებული ნიხრი და ამ ნიხრით ვედრაზედ ¼ კაპ. გადაიხდებათ. (3—3)

---

**დ-რი რეიხი** პირველ სექტემბრიდგან კვლავ მიიღებს

**თვალის ტკივილით ავადმყოფებს**

ყოველ-დღე დილით არსენალის ქუჩაზედ, **№ 17.** 3—3

---

## საკომერციო კურსები
**ქალებისა და ვაჟებისათვის.**

**წელიწადი მეექვსე**

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებსა და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1887—88 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო კანონმდებლობა**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხგალტერია** (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) **მსწრაფლწერა და წერა გარკვეული და შნოიანი.**

სწავლა დაიწყობა 15 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყობა 25 აგვისტოდამ ყოველ-დღე საღამოს 5 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, **სოლოლაკში, ლაბორატორიის ქუჩაზედ, № 11.**

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქ გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ **ს. პ. მანუელიანცს**


Доз. цен. Тиф. 9 сентяря 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) на Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი **ილია ჭავჭავაძე**